საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „საშემსრულებლო ხელოვნება“

მისაღები გამოცდების/შემოქმედებითი ტურების მოთხოვნები

სპეციალობა - „კლავიშიანი საკრავები“

შემოქმედებითი ტურები:

1. სპეციალობა;

2. მუსიკის თეორია:

სოლფეჯიო – სმენითი ანალიზი (წერა),

ტესტი მუსიკის თეორიაში (წერა).

აბიტურიენტის ცოდნა თითოეულ ტურში ფასდება ასქულიანი (100) სისტემით; დადებითი შეფასებაა 51-100.

1.სპეციალობა - *(ერთჯერადად)*

აბიტურიენტმა უნდა შეასრულოს:

1. ბახი. პრელუდია და ფუგა (კარგად ტემპერირებული კლავირის I ან II ტომიდან)
2. კლასიკური სონატის პირველი ნაწილი (allegro) (ჰაიდნის, მოცარტის, ბეთჰოვენის)
3. ერთი ვირტუოზული ეტიუდი. მხოლოდ შოპენის - თხზ.10 (გარდა N3 და N6) და თხზ.25 (გარდა N7)
4. პიესა.

2.მუსიკის თეორია:

აბიტურიენტებმა სმენითი ანალიზი უნდა ჩაწეროს აუდიოჩანაწერის (ფორტეპიანოზე შესრულებული) მიხედვით

სმენითი ანალიზი

1. კილო: სამი სახის მაჟორი; სამი სახის მინორი; ორმაგად ჰარმონიული მაჟორი და მინორი; მაჟორული და მინორული პენტატონიკა; დიატონური კილოები (მიქსოლიდიური, ლიდიური, ფრიგიული, დორიული). (გამოცდაზე შესრულდება 7 კილო, თითოეული იკვრება 3-ჯერ)
2. ინტერვალი: მარტივი და შედგენილი. ყველა წმინდა, დიდი და პატარა; გადიდებული და შემცირებული (+4; -5; -4; +5; +2; -7; -3; +6) - გადაწყვეტით. (გამოცდაზე შესრულდება 7 ინტერვალი, თითოეული იკვრება 3-ჯერ)
3. აკორდი (მჭიდრო და ფართო განლაგებით): სამხმოვანება - მაჟორული, მინორული და შემცირებული შებრუნებებით, გადიდებული მხოლოდ ძირითადი სახის. სეპტაკორდი - მცირე მაჟორული, მცირე მინორული, მცირე შემცირებული, შებრუნებებით; შემცირებული, მცირე მაჟორული სეპტაკორდი სექსტით (მაჟორში); ნონაკორდი - დიდი და პატარა. აკორდები იკვრება გადაწყვეტის გარეშე. (გამოცდაზე შესრულდება 7 აკორდი, თითოეული იკვრება 3-ჯერ)
4. ერთტონალური აკორდული თანმიმდევრობა (შედგენილი), რომელშიც შევა ჰარმონიის კურსის პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნები. (იკვრება 3-ჯერ)

ტესტი მუსიკის თეორიაში (მუშაობის დრო - 1,5 ასტრონომიული საათი).

ჰარმონიული ანალიზი: საანალიზოდ აბიტურიენტს ეძლევა ერთი ნიმუში მხატვრული ლიტერატურიდან, დაწერილი პერიოდის, მარტივი ორ ან სამნაწილიანი, რთული სამნაწილიანი, ვარიაციული, რონდოს, რონდო-სონატის ან სონატური ფორმით. ანალიზის პროცესში აბიტურიენტმა უნდა განსაზღვროს ფორმა, ტონალური გეგმა, მოდულაციის სახეები და ხერხები, კადანსები, ფაქტურა, აკორდიკა.